№ 206 6 ღვინობისთვე, შაბათი 1866—1879 6 ღვინობისთვე, შაბათი № 206

დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ოფიციალურ ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ ასოებით ასოზე 1 კაპ., ცალკერ თი — 5 კ., ბეჭდვითი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გადაცემული სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორსა არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლეამდინ, გაგზავნით — ᲡᲐᲛᲘ მანეთი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 3 ოქტომბერს. „მშართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ ბამბურგერი დაინიშნა რუსეთის ელჩად შეიცარიაში, ქოცებუს ბიგიერად, რომელიც ავათმყოფობის გამო დათხოვნილია. ფინანსის მინისტრმა, ბრეიგმა დაიწყო ხელ-ახლად თავის თანამდებობის აღსრულება. შინაგან საქმეთა მინისტრი ნაბოკოვი უკეთ არის.

ᲕᲔᲜᲐ, 2 ოქტომბერს. დეპუტატების პალატამ თავსმჯდომარედ ამოირჩია კოსონინი; სმოლკა ამორჩეულია პირველ და ბედელი მეორე ვიცე-პრეზიდენტად.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲐ, 4 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94	— 62
მეორე — — —	— 93	— 50
მესამესი — —	— 93	— 50
მეოთხესი — —	— 93	— 50
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ პირ.	— 91	— 37
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ მეორე	— 91	— 37
ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, მესამე	— 91	— 50
ᲝᲥᲠᲝ, ½ იმპერიალი	— 7	— 70

თფილ. თავად-აზნაურ. ბანკი

გირაოს ფურცელი	—	—
შინაგანი 5% სესხის ბილეთები		

	მან.	კაპ.
პირველი სესხის —	— 228	— 50
მეორე სესხის —	— 223	— 75

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	25 — 87	პენსი
ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ	— —	129 — 75	ცენტი
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ	— — —	270 — 50	სანტიმი
ᲕᲔᲜᲐ	— — —	219 —	„ ᲠᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ	— — —		

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში იყო მოხსენებული, დღეს, 5

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲡᲣᲓᲘᲐ ᲘᲐᲜᲙᲝ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ *)

მოწმე დაითხოვეს. უშველებელს სუდის ზალაში სიჩუმე ჩამოვარდა. სუყველანი მოუთმენლათ უყურებენ დამნაშავეს. იმის სახის უმოძრაო სიმშვიდე გაქრა. მხეცურათ, აღშფოთებით, როგორც დიდხნის დაგუბებული მთის წყარო, წამოსქდა იმის მხურვალე სიტყვები..

— თუმცა ჩემთვის ძრიელ ძნელია წამოსათქმელათ, მაგრამ მაინც ვიტყვე; მე მგონია მოვკვდე კიდეც, რომ ჩემთან ეს ანბავი სხვამა სთქვას. მე თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი — თუ ჩემი ცხოვრება ასე დაბოლოვდებოდა. მე ვიყავ კეთილი და პატიოსანი — მე ეს შემიძლიან ეხლა თავისუფლათ ვსთქვა, ამიტომ რომ ეხლა ჩემ თავზე ისე ვლაპარაკობ, როგორც მიცვალებულზე. პირველათ ჩემი სიცოცხლე ძრიელ უფერული იყო. მე ვიყავ უმცროსი შვილი და ამიტომ მამიჩემის მემკვიდრე იყო ჩემი უმფროსი ძმა. თუმცა მამიჩემის სახლში მე უბრალო მოჯამაგირეთ არ ვიყავი, მაგრამ, განა არ მოგეხსენებათ, ბევრჯელ შინაურობაში უფრო ძნელია ცხოვრება, მანამ უცხოებში. მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, ქალაქში დავდექ მოჯამაგირეთა. იქ ვისწავლე წერა-კითხვა და რადგანაც კარგათ ვხედავდი, თუ რა ენება მოჰქონდა კაცისთვის ღვინოს, არა ესვამდი. მერე დაუდექ თავად ს—ს და იმასთან ემოგზაურობდი საფრანგეთში და ბერმანიაში. ის ყოველთვის მადლობელი იყო ჩემი და აი ეხლაც ჩემ საშინელ უბედურებაშიაც არ დამივიწყა.. ჩემი აზრი იყო, რომ რამდენიმე წელიწადი მემსახურნა თავადთან, მომეგროვებინა ფული და იმითი დამეწყო მოსახლ-კაობა სოფელში, ჩემ ქვეყანაში. მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ მოხდა: უცხო ქვეყნებიდგან რო დავბრუნდი, შევიტყე, რომ ჩემი ძმა მომკვდარიყო და იმის მემკვიდრე მე ვიყავი. მაშინვე ჩავიბარე მამული და მივეყე ხელი მოსახლ-კაობას. მაგრამ ერთი რამ აკლდა ჩემ ოჯახს, როგორც სხვანი მეუბნებოდნენ, და მეც თითონ ვგრძნობდი. ჩვენში ახდაზათ იტყვიან: „სახლი უდედაკაცოთ ისეა, როგორც დუქანი უსასმლოთაო.“ და მართალიც არის. მეც გადავწყვიტე ცოლი შემერთო და საცოლოთ ამოვირჩიე ქსენია; ამოვირჩიე არა თუ იმისათვის, რო ლამაზი იყო, არამედ იმისთვის, რომ ის მებრალებოდა. ქსენია ობოლი ქალი იყო და თავის გათხოვილ დასთან მოჯამაგირეთ იდგა, — ეს მე მაგონებდა ჩემ უწინდელს მდგომიაობას; ძრიელ კარგათ ვიცოდი, რაც გემო ჰქონდა სიღარიბეს... მე ამითი არ მინდა ისა ვთქვა, რომ ქსენია მარტო სიბრალულით შევირთე; არა, მე ის ძრიელ მიყვარდა. ის იყო ჩუმი, წყნარი და ჯაფის მოსიყვარულე ქალი; იმაზე მთელ სოფელში ცუდს ვერავინ იტყოდა. ამასთან ძრიელ ლამაზიც იყო: ქერა, დიდის ცისფერი თვალებით, ძრიელ თეთრი და ნაზი აგებულებისა; ვინ იცის იქნება ამ უკანასკნელი თვისებისთვის უფრო მამწონდა მე ისა. ერთი თვის შემდეგ დავიწერეთ ჯვარი. ამას შემდეგ რაც მე მოვიხდინე, იქნება გაგიკვირდეთ, მაგრამ ჩვენი ცოლ-ქრმობა სრული ბედნიერი იყო. ჩემი ცოლი ძრიელ იშვიათათ იცინოდა და არასდროს ჩემთან ალერსიანათ არა ყოფილა; მე მეგონა ეს იმის ხასიათის თვისებაა-მეთქი. ქსენია იყო მარჯვე ოჯახის ქალი და ჩინებურათ მშველოდა ჩემი მძიმე ტვირთის ასრულებაში. მე მინდოდა სამაგალითო მოსახლ-კაობა დამეწყო და გამომეყენებინა ყველა ის კეთილი ჩვეულება, რაც კი სამზღვარ გარეთ ვნახე. თუმცა ეს ძრიელ ძნელი იყო ჩვენი

*) „დროება“, № 202.

ლვინობისთვეს იწყება ჩვენს ქალაქში სამღვდელოების კრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან როგორც ქართლ-კახეთისა, აგრეთვე იმერეთის, საქართველოს, ზურიის, აბხაზეთის და საზოგადოთ მთელის საქართველოს ეგზარხატის სამღვდელოების წარმომადგენელნი.

პირ-და-პირი მიზანი ამ კრებისა ის არის, რომ ამოირჩიონ ორი წევრი თფილისის სასულიერო სემინარიისა და ამას გარდა მოილაპარაკონ ახლად-დასაარსებელ საქალებო სასწავლებელზე, რომელიც საკუთრივ ჩვენი სამღვდელოების ქალებისათვის იმართება.

ეს საგნები, რასაკვირველია, მძიმე და საყურადღებო საგნებია. სემინარიის ბამგეობისათვის ორი კარგი, მტკიცე, გონიერი და პატიოსანი წევრის ამორჩევას, რაღა თქმა უნდა, თავის მნიშვნელობა ექმნება ამ დავარდნილის სემინარიის მდგომარეობის გაუმჯობესობაშ-.

დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ჩვენი სამღვდელოებისათვის საეპარხიო საქალებო სასწავლებლის გამართვასაც, რომლის თაოსნობისათვის საუკუნო მადლობის ღირსია ჩვენი ახალი ეგზარხოსი მაღალ-ყოველად-სამღვდელო იოანნიკი. ჩვენი სამღვდელოების ქალები, თითქმის ყოველ სწავლის ღონის-ძიებას მოკლებულნი არიან და იმათთვის ხეირიან სასწავლებლის გამართვა, რასაკვირველია, დიდ სარგებლობას მოუტანს, არათუ მარტო სამღვდელოების ოჯახს, არამედ მთელ ჩვენ ქვეყანასაც.

ვამეორებთ, ეს საგნები ყოვლად საარგებლო და საყურადღებო საგნებია ჩვენი სამღვდელოებისა დღევანდელ საზოგადო კრებისათვის. მაგრამ არის ერთი საგანი, რომელიც ყველაზე უფრო დაახლოებით შეეხება ამ სამღვდელოებას და რომელიც ამასთანავე ყველაზე უფრო ჩქარა და მოუთმენელად მოელის ამ სამღვდელოებისაგან ყურის-გდებას, საშუალების ხმარებასა და გასწორებას.

თფილისის სასულიერო სემინარიის დგომარეობაზედ მოგახსენებთ.

შეუძლებელია ყველა იმის გამეორებამ, რაც ამ უკანასკნელი შვიდი-რვა წლის განმავალობაში თქმულა ბეჭდვით და დამტკიცებულა იმ ყოველგვარ უწესოებაზე, რომელიც ხდება ამ სემინარიაში, მომეტებულ ნაწილად იქაურის ინსპექტორის უფ. ქუეშინაკის წყალობით. ამის გამო მოვიყვანთ მხოლოთ რამდენსამე მაგალითს:

თქმულა და დამტკიცებულა, რომ ამ სემინარიის მაგირდებს ყოველის უმიზეზოთ, განუკითხავად აგდებენ სასწავლებლიდამ და უკრძალავენ იმათ სწავლის მიღების წყაროს; მომხდარა მაგალითი, რომ უფ. ქუეშინაკის მარტო იმისთვის გამოუგდია შაგირდი, რომ რომელიმე ქართული წიგნი და გაზეთი უნახავს იმის ხელში; იყო მაგალითი რომ ერთი შაგირდი გამოისტუმრეს სემინარიიდამ თითქო უნიჭობისა და სიზარმაცისათვის და ამ შაგირდის მშობლებს კი შეუთვალეს, რომ ეს ყმაწვილი „სამაგალითოდ მღვდლად გამოვაო.“

თქმულა და დამტკიცებულა, რომ სწავლის საქმე ამ სემინარიაში ერთობ ცუდათ, ერთობ სუსტად მიდის. ბევრს საგნებს, რომელნიც საქართველოს ყოველი მღვდლისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ, თითქმის სრულიად არ ასწავლიან, და მაგიერად ისეთს საგნებზე ალევენ ყმაწვილის ნორჩ ტვინს, რომელნიც შემდეგ, მღვდლობაში, არც თავის სამწყოროში სრულიად არაფრად ვამოსადეგი არ არის. თფილისის სასულიერო სემინარიაში ყველაზე უფრო მომეტებული ქართველები სწავლობენ, რომელთაგან შემდეგ ქართველი მღვდლები უნდა გამოვიდნენ, ქართველი ხალხის დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი. და ამ გვარს სასწავლებელში, ამ მომავალ ქართველ მღვდელს არ ასწავლიან არც ქართულ ენას, არც საქართველოს ხალხის ისტორიას, და არც ქართულ ეკკლესიის ისტორიას, და არც სხვას რასმე, რაც ქართველობას შეეხება!..

მაგრამ უკაცრავად, ასწავლიან: მესამე კლასიდამ დაწყებული სემინარიაში დანიშნულია კვირაში თითო გაკვეთილი ქართულის ენისა; მაგრამ რას ასწავლიან? მხოლოთ დაეთნისა და ზოგიერთ სხვა სამღვდო წერილის წიგნების კითხვა! და ამ სწავლით ისტუმრებენ სამღვდელო პირს ქართულ სოფელში, ქართველების მწყემსად!.

თქმულა და დამტკიცებულა, რომ სემინარიაში თითქმის შიმშილით ხოცავენ შაგირდებს. რამდენჯერ გამოაცხადა, რომ შაგირდებისათვის დამპალი, აყროლებული თევზი და ადამის-ხნის შავი, დალბებული პური ან ჭიანი ხორ-

---

მოჯამაგირეების შემწეობით, რომელნიც სამ წილათ ნადირს ემგზავსებიან და ერთ წილათ კაცსა, მაგრამ მე მაინც ბეჯითად ვიდექ ჩემ აზრზე და ბევრიც მოვიყვანე აღსრულებაში. ჩემი სიმდიდრე იზდებოდა და ამასთან საზოგადოებისგან ჩემი პატივის-ცემა, რადგანაც მე ძუნწი არ ვიყავ და სიამოვნებით ვშველოდი ყველა გაჭირვებულს. მარტო ერთი რამ აკლდა ჩემ სრულ ბედნიერებას: შვილი არა გვყავდა, და აი ამ ორის წლის წინათ ჩემ ცოლს მიეცა მშვენიერი ქალი, ქერა, ხუჭუჭი თმით და ლურჯი თვალებით... —მშვენიერო, ძვირფასო შვილო, ოჰ, ჩემო ანულავ!...

დამნაშავეს ხმა გაუწყდა. რამდენსამე ხანს ის უკბილოთ იყურებოდა და შემდეგ განაგრძელა:

— სუყველა ამისრულდა, სუყველაფერი. მე, ასე ყმაწვილი კაცი, სოფლის სუდიათაც ამომირჩიეს. შაბათს რომ ეკითხნა ვისმე ჩემთვის, თუ ვინ უფრო ბედნიერია ქვეყანაზეო,—მე დაუყოვნებლივ ვეტყოდი: მე მგონია, მე-მეთქი. ოცი დღის შემდეგ კი მე შევიქენი უბედური კაცი და ამასთანავე ისეთი უბედური, რომ სხვა ამ გვარი არავინ ყოფილა თავის დღეში! მე გიანბობთ, რაც მოხდა, მოკლეთ... როცა ამაზედ ეფიქრობ, ჭკუა მერევა და ღონე სრულებით მელევა...

— ეს იყო დიდ შაბათს. მე დავბრუნდი ჭაობიდგან, სადაც ჩემი ბუშები ყინულს იღებენ ბუხარესტის პივოს ქარხნებისათვის და დავჯექ სადილის საჭმელათ. ჩემმა ცოლმა სუფრაზე დასდგა წვენი, შემწვარი და ტკბილი რძის ქაში. მე ეს ქაში არა ვსჭამე, ამიტომ რომ ძრიელ გავძღი და ჩემი ანულა, რომელიც კალთაში მიჯდა, ხარბათ სჭამდა. ის ჩემ ალაგას დავსვი, წინ წაუდგი ქაში და მე სამუშაოთ გავეჩქარე. ოცი საათის შემდეგ იქ მოირბინა ჩვენმა მოჯამაგირე დედა-კაცმა და მითხრა, რომ ჩემი შვილი კვდება, მაშინვე შინ გავიქეცი, მაგრამ გვიან-ღა იყო,—ჩემი შვილი ლოგინზედ უსულოთ ედო. ბებერი ბოშა-დედა-კაცი მარულა იქვე იდგა და იმან მითხრა;

—ეს ბნედით მოკვდა, ამგვარის ავათმყოფობით ბავშვები ხშირათ იხოცებიან ხოლმეო.

—ჩემი გული იწოდა მწუხარებით, მაგრამ მე ისე შევიმაგრე თავი, როგორც ვაჟკაცს შეეფერება. მოვამზადებინე სუყველაფერი საქელეხოთ და წაველი მღვდელთან; შეძდეგ დავბრუნდი შინ, ცოლი გავგზავნე დასაძინებლათ და ჩემი ქალის გვამთან დავრჩი, რომ უკანასკნელი ღამე იმასთან გამეტარებინა. საშინელი სიჩუმე იყო, მხოლოდ სანთლები ბჟუტავდნენ და ხანდის-ხან მოისმოდა ჩემი ცოლის ამოოხვრა... ასრე გაიარა მთელმა ღამემ.

—დილით გავეცი სახლში განკარგულება. მერე წაველი სოფლის სასამართლოში, სადაც ჩემი თანამდებობა ავასრულე და მერე შინ დავბრუნდი. ჩემი ცოლი დაჩოქილი იდგა კუბოსთან გაყვითლებული, უმოძრაოთ გამშრალი. მე უნდა ამეყვანებინა, ნუგეში მეცა იმისათვის, მაგრამ იმან გიჟივით დაიწყალა:

—ხელი არ მახლო! და გავარდა ოთახიდგან.

—მე უკვეროდი იმას და ვეფიქრობდი, რომ ეს ყოველთვის ისე არ იქცეოდა, როგორც სხვანი და ეხლა შვილის სიკვდილმა სრულებით შეარყია იმის ბუნება-მეთქი. დავიწყე ცხარე ცრემლით ტირილი. ცრემლი დიდი ნუგეშია უბედური გულისათვის! მე ეს გამოცდილი მაქვს. იმის შემდეგ მე აღარ მიტირნია. ბინდზე მე კიდევ წაველი მღვდელთან იმის შესატყობინელათ, თუ რა დროს უნდა დაგვეძარხნა. და რომ გზაზედ არავის შეეხვედროდი დიდ გზას გადუხვიე, და ბილიკით წავედი. ერთ კალოს რომ მიუახლოვდი, მოშესმა საშინელი ტირილი და კვნესა.

—მანდ ვინა ხარ? ვკითხე მე.

—მე ვარ მარიულა, მიპასუხა ბებერმა კუდიანმა.—შენ ან ღმერთმა და ან

ცი მოურთმეევიათ სადილად ყმაწვილებისათვის!

თქმულა და დამტკიცებულა, რომ ავათმყოფ ყმაწვილებს თითქმის სრულებით არავითარი მო�sა არა აქვთ, რომ იმათ თავის დროზე არ-ისტუმრებენ საავათმყოფოში, არ მოაშველებენ ექიმს, არ აძლევენ წამალს და სხვ. და სხვ. რამდენი შაგირდი მოკვდა სემინარიაში ამ ცუდის საჭმელ-სასმელისა და მოუვლელობისაგან?

ვინ მოსთვლის კიდევ—რამდენი სხვა წუნი და ნაკლულევანება არის დაბუდებული ამ ჩვენს ერთად ერთს სასულიერო სემინარიაში, რამდენიმე ისეთი უწესო წესებია, რამდენი ურიგობა, რომელსაც გასწორება, წამალი და ყურის-გდება ეჭირება.

ეს გასწორება, წამლის დადება და ყურის-გდება არის მოვალეობა ჩვენის სამღვდელოებისა. სამღვდელოება არის მოვალე, რომ მუდმივ თვალ-ყური ეჭიროს თავის შვილების აღზრდაზედ, იმის მოვალეობა არის იზრუნოს, რომ კარგი კაცებისა და მწყემსების მაგიერ ამ სასწავლებლიდამ არ გამოდიოდნენ გამორეტიანებული, უზნეო და მეზვერეობას შეჩვეული ხეცები; იმის მოვალეობაა ყურადღება მიაქციოს, რომ იმის შვილებს, კაცობრიული და ქრისტიანული სწავლის მაგივრად, ჯანსაც არ უკლავდნენ და ტვინსაც არ უჩლუნგავდნენ. ერთის სიტყვით, სემინარიის ყოველი ავი და კარგი ამ სამღვდელოებაზედ არის დამოკიდებული.

ჩვენ გვყავს ამჟამად ისეთი კეთილგანზრახი და გონიერი მღვდელთ-მთავარი, რომელიც ყოველ საკარგებლო და კეთილ საქმეში დაეხმარება, ხელს-მოუწყობს სამღვდელოებას. თითონ სამღვდელოებას ეჭირება მხოლოთ კარგად გამოკვლევა საქმისა, რიგიან გზაზე დაყენება თავის შვილების აღზრდისა, მტკიცე, ენერგიული სურვილის გამოცხადება და შეუდრეკელი გარდაწყვეტილების დადგენა.

ს. მ.

ДЛИУРИ

*** ზუშინ, 5 ღვინობისთვეს, თფ. სასულიერო სემინარიაში იყო პირველი კრება საქართველოს სამღვდელოების საზოგადო კრება. რომელზედაც სულ 68 დეპუტატი მოგროვდა მოძღვებული ნაწილი იმერეთიდამ და სამეგრელოდამ. ამ პირველმა კრებამ ამოარჩია თავის თავსმჯდომარეთ მ. ბლაღოჩინი დავით ღამბაშიძე, რომელსაც 41 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 27 შავი. ქრებების საქმის მწარმოებელად ამოირჩიეს თელავის მღვდელი მ. ხელაევი.

დღესვე საღამოს იქნება მეორე სხდომა და განსახილველ საგნების სჯას შეუდგებიან.

*** ამ ოთხშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევამ, სხვათა შორის, გარდაწყვიტა, რომ ქალაქის ზამგეობას მიეცეს ცხრა ათასი მანეთი იმ სახელოსნო სასწავლებლის შენობის გასათავებლად, რომელსაც აგერ ოთხი წელიწადია, რაც დაიწყო ქალაქმა და ჯერ-კიდევ ვერ მოუთავებია. როგორც ისმის, ეს შენობა წელსვე სრულიად გათავდებაო და მომავალს წლიდამ თვითონ სასწავლებელიც გაიხსნება და სწავლაც დაიწყებაო.

*** თფილისის სამკურნალოის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ ღვინობისთვის 13-ს სიონის სობოროში იქნება მოლოცვა ამ სამკურნალოს დაარსების დღის სახსოვრად.

*** მომავალ ოთხშაბათს, 10 ღვინობისთვეს, საზაფხულო თეატრში ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება: „ზაყრა“—ოთხ-მოქმედებიანი კომედია თ. ზ. ერისთვისა და „დაკეტილ კარებთან“ ერთ-მოქმედებიანი გადაკეთებული ვოდევილი.

ამას გარდა ანტრაქტში, პირველ პიესის შემდეგ, ზაბუნიას ქალი ქართულ სიმღერებს იღერებს და უფ. ჯ. მესხი იმერულ სცენებს წაიკითხავს.

თეატრი

ქართული წარმოდგენა

3 ღვინობისთვეს.

აი წარმოდგენა, რომლიდამაც ყველამ, ვინც კი დაესწრო, სასიამოვნოთვით ეშმაკმა მოგიყვანა აქა, იანკო. თუ მე ჩამომახრჩობენ, ხომ თითონაც ვერ ასცილდებიან სახრჩობელს. მაშ მე შენ სუყველას გიამბობ, მე იმიტომ ვტირი, რომ შენმა მოჯამაგირე ალექსიმ მცემა, მცემა იმისათვის, რომ ფული ვთხოვე საწამლავში, ჩემი რა ბრალია, რომ შენ მაგივრად ანულა მოკვდა; ჩემმა საწამლავმა მაინც-და-მაინც ხომ გასჭრა...

—ქუდიანო, რას ყბედობ დაულრიალე მე.

—აი შე, ჭკვიანო, დამცინოდა ისა, შენ ეჭვიც არა გაქვს იმაში, რომ შენ ცოლს ეჯავრები, რომ იმან შენ კი არა, შენი სიმდიდრე შეირთო. იმას ყველა ურჩევნია შენ თავსა; ეხლა ის გადაეკიდა შენ ბებერ უმზგავს მოჯამაგირე ალექსს. იმათ უნდოდათ, შენ მოეწამლეთ და მე საწამლავი უშოვნე...

თავზე თმები ამიდგნენ.

—სტყუი წავიბუდბუტე მე და თან მწუხარებისაგან ეიხრჩობოდი.

—შენ თითონ დარწმუნდი მიპასუხა იმან:—დაბრუნდი ეხლა შინა და ცოლს უთხარ, რომ შენ ეხლავ საჩქაროა საქმეებისთვის ქალაქს მიხვალ ღა ხვალამდინ არ დაბრუნდები. ერთი საათის შემდეგ ჩუმათ დაბრუნდი, და თავს დაგდებ სანაძლოთ, რომ ისინი ჩახუტულები დაგიხვდებიან..

რას ვგრძნობდი მაშინ მე—ვერ ავსწერ, არ შემიძლიან, კაცის ენას არ შეუძლიან გამოსთქვას სიტყვით ის ვაება. დაებრუნდი შინ, ვავტენე ორი ტაძბაჩა. ჩემ მეორე მოჯამაგირეს უბძანე ცხენი შეაბი-მეთქი, ცოლს უთხარი, რომ ხვალამდინ ვერ დავბრუნდები. ერთი, ორი ვერსი რომ გავიარე, ცხენი გზაზედ დავტოვე და მე ფეხით შინ დავბრუნდი. საშინელი ავდარი და ქარიშხალი იყო. წვიმას კოკურათ ასხამდა. მიველ ჩემ სახლთანა. საწოლს ოთახიდგან ცოტა შუქი გამოდიოდა და იქით მივმართე. ეს შუქი იმ ოთახში ზალიდგან გამოდიოდა, სადაც სტოლზე იდგა ჩემი შვილის კუბო და გარს სანთლები ეწოთ; რამდენსამე ნაბიჯზედ ჩემი ქალის გვამიდგან, ჩემი ცოლი გადახვეული იდგა ალექსასთან!..

ზრიალის და საშინელის ძალ-დატანებით გამოსთქვა უკანასკნელი სიტყვები უბედურმა ანკომ. ჩაღუნა თავი და ძალა მიუწყდა ამ გვარის მოგონებით. ბოლოს დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ, განაგრძელა:

—მე შევამტრიე შუშა, დაუმიზნე და საჩქაროთ, როგორც ელვა ვესროლე ჯერ ცოლს და მერე იმის საყვარელს. ორთავენი ძირს დაეცნენ და დაიწყეს ხრიალი. ბატეხილ ფანჯრიდგან შეველ ოთახში და გარეთ გამოვათრიე ალექსის გვამი, რომ არავის შეეტყო ჩემი ოჯახის შერცხვენა. მე ვიდექ და დიდხანს უყურებდი ჩემი ცოლ-შვილის გვამებს. შეცდ ყურში ვიღაცაც ჩამოჰმცინა და მითხრა:

— ძრიელ კარგი, ანკო, ძრიელ კარგი!

ეს იყო მარიულა,—ეს იყო ამ შემთხვევის მიზეზი, ვიფიქრე მე, წაუჭირე ყელში და დავახრჩვე ჩემის ხელით. აქის შემდეგ მე წაველ ტოდიკთან... დანარჩენი თქვენ თითონ მოგეხსენებათ.., ახლა, მხოლოთ იმას გთხოვთ, უფაშნო მსაჯულნო, რომ სიკვდილით დასჯა გადამიწვიტოთ“...

ანკოს თხოვნის ასრულება არ შეიძლებოდა. ამას გადაუწყვიტეს სიკვდილამდე მადნებში მუშაობა. ცხრა საათის შემდეგ, ნაფიც მოსამართლეებმა, ხუთის ხმის უმეტესობით ოთხის წინააღმდეგ, გამოიტანეს ამის გასამტყუნარი გადაწყვეტილება; მაშასადამე მარტო ერთი ხმა დააკლდა ანკოს გამართლებას.

ე. ბ—ლისა.

გრძნობა გამოიტანა, რომელმაც ნამდვილი ესტეტიკური სიტკბობა მოგვანიჭა! ძაი ხანია ამისთანა წარმოდგენა არ უნახავს ჩვენს საზოგადოებას და ასე თანხმობით, კარგათ არ ეთამაშნია ჩვენს ტრუპპას. ერთი-ორი კიდევ ამისთანა ჩინებული წარმოდგენა და მაშინ, უეჭველია, ისინიც კი დაიწყებენ ქართულ თეატრში სიარულს, რომელთაც თავის დღეში არ უვლიათ, რომელნიც ცხვირ აბზუებით უყურებენ ყველაფერ ქართულს...

ითამაშეს თ. დ. ერისთვისაგან ახლად გადმოკეთებული ორ მოქმედებიანი კომედია უფ. ალექსანდროვისა—„საძაგელი“ (Чудовище) და თ. რაფ. ერისთვის აგრეთვე ორ-მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“.

ითამაშეს, მაგრამ ისე კარგათ, რომ ჩვენ არ ვიცით—რომელი კომედია უფრო მოვიწონოთ და რომელი მოთამაშე უფრო ვაქოთ!.. ორივე კომედიები თითქმის უკნაკლულოთ ითამაშეს! ორივეში ყველამ ისე აასრულეს თავის როლები, როგორც უნდა აესრულებინათ კარგ, გამოცდილ და დახელოვნებულ მოთამაშეებსა. მხოლოთ ერთმა მოთამაშემ. თვითონ „საძაგელმა“, ე. ი. ლევანმა, რომელსაც №№ თამაშობდა თავის სახელის-და-გვარად ითამაშა; ეტყობა, რომ ეს ახალი და ახალგაზდა მოთამაშე სცენისათვის არ გამოდგება და ამგვარ როლს მაინც ის თავის დღეში ვერ ითამაშებს. დანარჩენებზე ყველაზე ერთხმად შეგვიძლიათ ვსთქვათ, რომ ასახელეს ტრუპპის სახელიც და ქართული თეატრისაც.

ორმა მოთამაშემ მაინც აღტაცებაში მოიყვანა წუხელის მაყურებელი საზოგადოება; ნატ. ბაბუნიას ქალმა ორთავე პიესაში მოხუცებულის ქალის, მშვენიერად, არტისტიულად შესრულებითა და სიმღერით და უფ. კ. მესხმა გიმნაზისტის როლის თამაშით (საძაგელში). ნ. ბაბუნიას ქალმა ისეთის ხელოვნებით ითამაშა მოხუცებულის დედაკაცის როლები, რომ სამაზე უკეთესი თამაში, არა თუ ჩვენს სცენაზე, უცხო ქვეყნის განვითარებულ სცენებზედაც იშვიათად გვინახავს. ყოველი მისი მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა, სიტყვა-პასუხი, სიარული, უკანასკნელი ხელის გაქნევა წარმოგიდგენდათ ნამდვილი იმ ბებერ დედა-კაცს, რომლის თამაში აქტრისას ჰსურდა.

საზოგადოთ ბაბუნიას ქალი ძვირფასი შეძინება არის ქართულის თეატრისათვის. ამის თქმა მით უმეტესის უფლებით შეგვიძლიან, რომ ეს ქალი თანდა-თან კეთდება, თან-და-თან უკეთ თამაშობს და უფრო კეთილ სინიდისიანად მომზადებული გამოდის სცენაზე.

ყველა ამ თვისებასთან ბაბუნიას ქალს ხმაცა აქვს. იმისმა სიმღერამ, განსაკუთრებით როცა თ. აკაკი წერეთლის მშვენიერი ლექსი „ალმართ, ალმართ“ იმღერა, აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება.

კ. მესხმა სწორეთ, ნამდვილად ის სულელი, მძინარა და უმანკო გიმნაზისტი წარმოგვიდგინა, რომლის გამოხატვაც უეჭველად ჰქონდა სახეში კომედიის ავტორს. ჩვენ გვინახავს ჩვენ რუსულ სცენაზე გამოცდილი და ნიჭიერი აქტორები ამ როლში, მაგრამ მიუდგომელად ვიტყვით, რომ ყველა ამათ თუ არ გადაჭარბა უფ. მესხმა თავის ბუნებითი, არტისტიული თამაშით, თორემ უკან არცერთს იმათგანს არ ჩამოუდგებოდა.

დანარჩენ მოთამაშეებზედ არას ვამბობთ, ერთის სიტყვით ყველამ გვასიამოვნა, ყველას ეტყობოდა, რომ კარგათ იყვნენ მომზადებულნი, და ამიტომ საერთოდ ყველას გულითად მადლობას უძღვნით ამ ესტეტიურ სიამოვნების მინიჭებისათვის...

განცხადებანი

თფილისის ქალაქის თავისაგან

თფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9 ს თფილისში მოვა უმაღლესად დამტკიცებული სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-თფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნით. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის ბამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—2)

ბამოვიდა და ისყიდება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ბროშურა

„ჩვენი დევ-ბმირები“

(ქართველი მწერლების სურათები)

სტეფანე ჭრელაშვილისა

ფასი ერთი აბაზი

(4—1)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ.

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
რუსეთს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავ	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ძუთაისს, რუსეთს—ოველ ღღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ძუთაისიდამ: ფილისის და ფოთისაკენ—ყოველ ღღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ
და საზღვარ გარეთ:		
ღია წიგნის	3	
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7	

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 4 ოქტომბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	60
ქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	80
—ამერიკისა, ფუთ .	9	40
ბალენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	—
—თრაქმისა ფუთი .	3	60
აბრეშუმ ნუხური სტ.	2	10
მონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი ბრგ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	50
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მიდ., წინამძღვაროვ. ხახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ ღღე ღილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—ვენერიულის, და კანის; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ჭურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1879 г. Типографія Меликова. ბარონ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.